საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„ზასტავა“

„ზასტავა” (რუს. – საყარაულო, საგუშაგო), სიტყვა ქართულში გაჩნდა XIX ს. დასაწყისში, როდესაც აღმ. საქართველოში დამყარდა რუს. მმართველობა (1801). მოსკოვის „ზ.” ჩრდ-იდან (რუსეთიდან) თბილისში შემოსასვლელ გზას აკონტროლებდა და მდებარეობდა ახლანდ. რუსთაველის მოედნის სიახლოვეს. მოსკოვის „ზ-ის” მახლობლად გაჩნდა სამსახურიდან გადამდგარ სამხ. მოსამსახურეთა (ძირითადად ზასტაველთა) დასახლება, რ-საც შემდეგ „მოსკოვის ქუჩა” ეწოდა (ახლანდ. ძმები კაკაბაძეების ქუჩა); ერევნის „ზ.” აკონტროლებდა ქალაქში შემოსასვლელ სავაჭრო-სატრანზიტო გზას, მდებარეობდა ორთაჭალაში, ახლანდ. 300 არაგველის მემორიალის მახლობლად; კახეთის „ზ.” მტკვრის მარცხ. მხარეს, კახეთის გზაზე იყო და აღმ-იდან ქალაქში შემოსასვლელ გზას აკონტროლებდა.